ბრძანება

სსიპ საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სტიპენდიის გამოცხადება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი-მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 56–ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის,

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2013 წლის 15 ოქტომბრის №01/745 ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტების, 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის,

სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომ - უნივერსიტეტი) წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №8 სხდომის ოქმით დამტკიცებული „საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტური სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის“ პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის,მეორე პუნქტის, მეოთხე პუნქტის მე-3-მე-4 მუხლების, მე-11 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის თანახმად 2026-2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სტიპენდიის კონკურსი.
2. განისაზღვროს დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადები შემდეგი თარიღებით:
   - განცხადებების მიღება 2026 წლის *20 ივლისიდან - 24 ივლისის* ჩათვლით;
   - წინასწარი შედეგების გამოქვეყნება - *24 ივლისი;*
   - სააპელაციო განაცხადების მიღება - 27 ივლისი (14:00 საათამდე);

3. განისაზღვროს, რომ 2026-2027 სასწავლო წლის კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

   - განცხადების შევსებული ფორმა;
   - პირადობის მოწმობის ასლი;
   - საბანკო ანგარიშის რეკვიზიტი.

4. განისაზღვროს დოკუმენტაციისა და (აპელაციის შემთხვევაში) სააპელაციო განცხადების წარდგენის ფორმები და მისამართები ფაკულტეტების მიხედვით:

   - მწვრთნელთა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის: საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას ფიზიკურად მისამართზე (ვაჟა-ფშაველას 76, მე-2 სართული, მწვრთნელთა ფაკულტეტის დეკანატი) ან გამოიგზავნოს ფაკულტეტის ელექტრონულ ფოსტაზე: coaches.faculty@sportuni.ge
   - ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის: საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას ფიზიკურად მისამართზე (ე. ნინოშვილის 55, მე-2 სართული, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანატი) ან გამოიგზავნოს ფაკულტეტის ელექტრონულ ფოსტაზე: Phmrfaculty@sportuni.ge.
   - სპორტის მენეჯმენტის და ადმინისტრირების სტუდენტებისათვის: საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას ფიზიკურად მისამართზე (ე. ნინოშვილის 55 მე-2 სართული, სპორტის მენეჯმენტის და ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანატი) ან გამოიგზავნოს ფაკულტეტის ელექტრონულ ფოსტაზე: sportmanagement@sportuni.ge

5. განისაზღვროს იმ პირთა წრე, რომლებსაც სტიპენდია არ ენიშნებათ:

   - სტიპენდიის დანიშვნის მომენტისთვის სხვა სტიპენდიის/საუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე სტუდენტს;
   - სტუდენტს, რომელსაც სრულად არ აქვს ათვისებული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ეტაპისათვის გათვალისწინებული კრედიტები;
   - წინა სასწავლო სემესტრში მობილობით გადმოსულ სტუდენტს;
   - სტატუსშეწყვეტილ და სტატუსშეჩერებულ სტუდენტებს;

- სტუდენტს, რომელსაც ერთ-ერთ რომელიმე სასწავლო კურსში აქვს 71 ქულაზე ნაკლები.

6. დაევალოს ბრძანების შესრულებაზე კონტროლი უნივერსიტეტის მწვრთნელთა ფაკულტეტის დეკანს, ნინო ძაგანიას.
7. დაევალოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.
9. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

უნივერსიტეტის რექტორი ტრისტან გულბიანი